

# *სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი*

კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული  
მომზადების ცენტრი



*კვალიფიკაციის ამაღლების კურსის პროგრამა*

<b>პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელება</b>	<b>ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი</b>
<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 16
<b>პროგრამის სახელწოდება</b>	<b>მუზეუმის მენეჯმენტი</b>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ერმილე მესხია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი. ტელ: 593 32 57 96. ელ ფოსტა: <a href="mailto:ermile_mesxia@mail.ru">ermile_mesxia@mail.ru</a>
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>პროგრამის აქტუალობა</b>	<p>მუზეუმის მენეჯმენტის პროგრამის მომზადების აუცილებლობა განაპირობა ამ დარგში კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ. საქართველოში ამ დარგის სპეციალისტებს არცერთი უნივერსიტეტი და კოლეჯი არ ამზადებს. სამუზეუმო დაწესებულებებში ძირითადად მუშაობენ ჰუმანიტარული და ხელოვნების დარგის კურსდამთავრებულები, რომელთაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ.</p> <p>თანამედროვე მუზეუმების წარმატებული მუშაობა მუზეუმების თანამშრომელთა ნაწილის პრაქტიკულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული, წარუმატებლობის მიზეზი კი - კვალიფიციციის ნაკლებობითა და გამოუცდელობით.</p> <p>სამუზეუმო საქმე სპეციალურ განათლებას მოითხოვს, რომლის შესწავლა ჰუმანიტარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული.</p> <p>ქ. ბათუმში ახალი სამუზეუმო ქსელის გახსნა მოითხოვს მუზეუმების კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებას, რისი შესაძლებლობაც პრაქტიკულად დღემდე არ არის.</p> <p>სამუზეუმო დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ ხელოვნების უნივერსიტეტმა მოამზადა დასახელებული პროგრამა.</p> <p>დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოკლევადიანი კურსის გავლით მიიღონ ელემენტარული განათლება და დასაქმდნენ სამუზეუმო და კულტურის სხვა დაწესებულებებში.</p>
<b>პროგრამის ღირებულება</b>	საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯები შეადგენს 7880 ლარს. დაკვეთის შემთხვევაში პროგრამის ღირებულებას იხდის დამკვეთი. სხვა შემთხვევაში ფიზიკური პირის გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იქნება ჯგუფში მსმენელთა რაოდენობაზე.
<b>პროგრამის მოთხოვნები</b>	კვალიფიციციის ამაღლების კურსის პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტს. ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა არანაკლებ 10-ისა.
<b>პროგრამის ხანგრძლივობა</b>	პროგრამის ხანგრძლივობა - 3 თვე, მოიცავს 12 სასწავლო კვირას და ECTS-ის 30 კრედიტს. პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება მუზეუმის მართვის კვალიფიციაცია და ეძლევა შესაბამისი სერთიფიკატი დანართთან ერთად. სწავლების სრული კურსის წარმატებით გავლისა და პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატის მისაღებად კურსდამთავრებული უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: 1. პროგრამის დასრულება (გავლა) მოითხოვს სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი მოცულობის შესრულებას და კრედიტების სავალდებულო რაოდენობის დაგროვებას. 2. პროგრამის დაუფლების შედეგად მსმენელმა უნდა დააგროვოს ECTS-ის შესაბამისი 30 კრედიტი.
<b>პროგრამის საკვალიფიციაციო დახასიათება</b>	
მუზეუმის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უცხოეთისა და საქართველოს მუზეუმების კვალიფიციურ სპეციალისტთა მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის დისციპლინები შერჩეულია იმ პრონციპით, რომ მსმენელმა სრული ინფორმაცია	

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**Batumi Art Teaching University**

და ელემენტარული ცოდნა მიიღოს სამუზეუმო დარგის მართვის სფეროში. პროგრამის ათვისების პროცესში გათვალისწინებულია პრაქტიკა ბათუმის მუზეუმებში და სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია საქართველოს სხვა მუზეუმებში. მსმენელი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი ათვისოს, თეორიული კურსის დასრულების შემდეგ გაიაროს ტესტირება და პრაქტიკა.

<b>პროგრამის მიზანი და ამოცანები</b>	პროგრამის მიზანია მსმენელმა მიიღოს კვალიფიციური ცოდნა სამუზეუმო მართვის საქმეში. შეისწავლოს მუზეუმებისა წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი როლი და ადგილი საზოგადოებაში. დაეუფლოს მუზეუმის მართვის სპეციფიკას, სტრუქტურას, სამუზეუმო ფონდების დამუშავების, გამოყენებისა და დაცვის, შეისწავლოს ფონდების საინფორმაციო-საძიებელი აპარატი.
<b>სწავლის შედეგი</b>	პროგრამის დასრულების შემდეგ სპეციალისტი შეძლებს სამუზეუმო მართვის სფეროში გარკვევას, ფონდების დამუშავებას, საცნობარო აპარატის შედგენას, საზოგადოებასთან მუშაობას.
<b>დასაქმების სფეროები</b>	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს ყველა ტიპის მუზეუმში, მიუხედავად მათი სტატუსისა და კუთვნილებისა, კულტურის დაწესებულებებში.

**მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის პირობებისადმი**

<b>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</b>	სპეციალისტის მომზადების პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების უნივერსიტეტის, ბათუმის სამუზეუმო დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან ქ. თბილისიდან და უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.
<b>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</b>	პროგრამა განხორციელდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკა. მსმენელი მუშაობის პროცესში ისარგებლებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, ხელოვნების კაბინეტებითა და ინტერნეტით.
<b>სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა</b>	პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი დისციპლინის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: დისციპლინის სილაბუსით; ძირითადი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით; სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით.
<b>სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება</b>	სპეციალისტის მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩატარების დაგეგმვა-ორგანიზება ქ. ბათუმის მუზეუმებში.
<b>შეფასება</b>	პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საგანში შეფასება მოხდება ტესტირების საშუალებით.

<b>პროგრამის მოცულობა ECTS და სტრუქტურა</b>	კვალიფიკაციის ამაღლების პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია თანამედროვე განათლების სფეროში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. სწავლებისა და შეფასების საკრედიტო ფორმა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითად მაჩვენებლებს.					
	<b>№</b>	<b>საგანი/მოდული</b>	<b>კრედიტ. რ-ობა</b>	<b>საათების რაოდენობა</b>		
				<b>სულ</b>	<b>საკონტ.</b>	<b>არასაკ.</b>
	1	სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი	5	125	50	75
	2	სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება, აღრიცხვა და შენახვა	4	100	40	60
	3	საზოგადოებასთან მუშაობის პროგრამები	3	75	30	45
	4	საქმისწარმოება	2	50	20	30
	5	მეტყველების კულტურა	3	75	30	45
	6	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	2	50	20	30
	7	სამუზეუმო კანონები და ნორმატიული აქტები	2	50	20	30
8	IT ტექნოლოგიები	2	50	20	30	

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**Batumi Art Teaching University**

	9	საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმები	2	50	20	30
	10	პრაქტიკა	5	125	50	75
	<b>სულ</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>300</b>	<b>450</b>
<b>პროგრამის ხარჯთაღრიცხვა</b>	<b>№</b>	<b>დასახელება</b>	<b>საათი/დღე</b>		<b>1სთ. ღირ.</b>	<b>სულ</b>
	1	სპეციალისტის სამუშაო	240 სთ.		12 ლ.	2880 ლარი
	2	ქ. თბილისიდან მოწვეული სპეციალისტი	40 სთ.		30 ლ.	1200 ლარი
	3	უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტი	20 სთ.		70 ლ.	1400 ლარი
	4	მოწვეული სპეციალისტის სასტუმროს ხარჯები	12 დღე		1 დღე 100 ლ.	1200 ლარი
	5	სასწავლო ექსკურსია ბათუმი-ქუთაისი-თბილისი-ბათუმი ტრანსპორტის ხარჯები	2 დღე			800 ლარი
	6	პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური ხარჯები				400 ლარი
						<b>სულ</b>